




ძლიერი ზრდა განუსაზღვრელობის ფონზე: მშპ-ის პროგნოზის თანახმად, 2025 წელს საქართველოს ეკონომიკა 7.1%-ით გაიზრდება

გრაფიკი 1. საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)




ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის უახლესი პროგნოზის მიხედვით, მარტის მონაცემების საფუძველზე, 2025 წლის მეორე კვარტალში საქართველოს ეკონომიკა **8.2%-ით**, ხოლო მესამე კვარტალში – **6.5%-ით** გაიზრდება. 2025 წელს წლიური ზრდა, ცუდი სცენარის შემთხვევაში **6%** იქნება, საუკეთესო და საშუალო გრძელვადიანი სცენარის შემთხვევაში – **7.6%**. ჩვენი საშუალო სცენარით, ბოლო ოთხი კვარტლის საშუალო ზრდის საფუძველზე, რეალური მშპ **7.1%-ით** გაიზრდება.




მონეტარული ინდიკატორებიდან, 2025 წლის მარტში ეროვნული ვალუტის დეპოზიტები (NC_DEPTOT) წლიურად 5.4%-ით გაიზარდა, რაც ქვეყნის საფინანსო სექტორის ლიკვიდურობის გაუმჯობესებაზე მიუთითებს. ამის საპირისპიროდ, უცხოური ვალუტის დეპოზიტების (FC_DEPTOT) 17.6%-იანი ზრდა უარყოფითად აისახა პროგნოზზე, რადგან ის დეპოზიტების დოლარიზაციის ზრდასა და ეროვნული ვალუტისადმი ნდობის პოტენციურ შესუსტებაზე მიუთითებს. M2 აგრეგატი წლიურად 7.5%-ით გაიზარდა, რაც დადებითად აისახა პროგნოზზე და ნიშნავს, რომ მონეტარული პირობები ხელსაყრელია და მოთხოვნის მხარეს დინამიკა გაზრდილია. 2025 წლის 7 მაისს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8%-ზე დატოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბანკი სიფრთხილეს იჩენს მზარდი ინფლაციური წნეხისა და მაღალი მაკროეკონომიკური განუზღვრელობის ფონზე.

2025 წლის მარტში ექსპორტი 8.2%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი – 14.3%-ით, რამაც სავაჭრო დეფიციტი 18.7%-ით გაზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტისა და იმპორტის ზრდამ დადებითი, მაგრამ მცირე გავლენა მოახდინა მშპ-ის პროგნოზზე, მზარდი დეფიციტი ხაზს უსვამს საქართველოს გარე სავაჭრო დინამიკაში არსებულ მუდმივ სტრუქტურულ გამოწვევებს.

2025 წლის მარტში ფულადი ნაკადების მთლიანი მოცულობა წლიურად 3.9%-ით გაიზარდა, რამაც დადებითად იმოქმედა მშპ-ის პროგნოზზე, რადგან, ერთი მხრივ, შინამეურნეობების მოხმარება წახალისა და, მეორე მხრივ, ეკონომიკაში ლიკვიდურობის შემზღუდველი ფაქტორები შეარბილა. პროგნოზზე ყველაზე დიდი დადებითი გავლენა ჰქონდა აშშ-დან (+3.5 პპ), გერმანიიდან (+1.4 პპ), იტალიიდან (+1.2 პპ) და სხვა ქვეყნებიდან (+3.2 პპ) შემოსულ ფულად ნაკადებს. ამის საპირისპიროდ, რუსეთის ფედერაციიდან შემოსავლები შემცირდა, რამაც -5.5 პუნქტით შეამცირა მთლიანი ზრდის ტემპი.



2025 წლის მარტის მდგომარეობით, წლიურმა ინფლაციამ 3.5% შეადგენდა, რაც კვლავ ახლოს არის ეროვნული ბანკის 3%-იან სამიზნე მაჩვენებელთან და ასახავს შედარებით სტაბილურ საფასო გარემოს. ამავე დროს, **Euro Brent-ის სპოტ ფასი წლიურად 14.8%-ით შემცირდა**, რამაც შეამსუბუქა გლობალური საფასო წნეხი. მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის ფასები მნიშვნელოვანი ფაქტორია საწარმოო საშუალებების ხარჯების თვალსაზრისით, ინფლაციას არ ჰქონია პირდაპირი გავლენა მშპ-ის პროგნოზზე.



მშპ-ის პროგნოზის მეთოდოლოგია

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენი მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage'-ს) აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.